განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**

**შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო პროგრამა**

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**

**შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“**

შეფასების თარიღ(ებ)ი:
23.04-27.05.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი:

19.07.2021

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 229275405 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | შედარებითი კომერციული სამართალი |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | სამართლის მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0421 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული, აკრედიტაციის საბჭოს 06.08.2020 წლის გადაწყვეტილება 670727 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი მახარობლიშვილი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნონა ზუბიტაშვილი, სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, უფროსი იურიდიული მრჩეველი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამაზგისტრო პროგრამის „შედარებითი კომერციული სამართალი" შემოწმება ცენტრის მიერ დაიგეგმა გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში. მონიტორინგის განხორციელების საფუძველია აკრედიტაციის საბჭოს შუამდგომლობა პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ 2020 წლის 6 აგვისტოს MES 6 20 000067072706 გადაწყვეტილების მიღების დროს მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, განეხორციელებინა პროგრამის შეფასება მონიტორინგის პირობებში. წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედარებითი კომერციული სამართალი მოიცავს 120 კრედიტს, საიდანაც 42 კრედიტი დათმობილი აქვს სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს, 24 კრედიტი - პროფესიულ პრაქტიკას, 24 კრედიტი - არჩევით სპეციალობის სასწავლო კურსებს და 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომს. პროგრამაში გაწერილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის მიზნები და შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, სასწავლო გეგმა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი დაწესებულებაში ადგილზე არ განხორციელებულა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც გამოთხოვილ იქნა განათლებლის ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. მონიტორინგის ფარგლებში გაანალიზებულ იქნა ის სტანდარტები თუ კომპონენტები, რომელთა მიმართაც აკრედიტაციის პროცესის შედეგად გაცემულ იქნა რეკომენდაციები.
აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გაცემული რეკომენდაციებისა და გეგმიური მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, ექსპერტების მიერ განხორციელდა I სტანდარტის, II სტანდარტის, მე-4 სტანდარტის 4.1 და 4.2კოპონენტის და V სტანდარტის შეფასება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მონიტორინგის ფარგლებში შესაფასებლად წარმოდგენილ იქნა ის დოკუმენტაცია, რაც ასახავდა საგამნანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგს. შესაბამისად, მონიტორინგის ფარგლებში, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა ის სტანდარტები, რომელთა მიმართაც

იყო რეკომენდაციები გაწერილი. მიღებული შეფასების შედეგად, პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

- **რეკომენდაციები**

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები და მასზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსები, რათა სწავლის შედეგები მიღწევადი და რეალისტური იყოს იმ საგანთა ბადის პირობებში, რაც პროგრამით იქნება შეთავაზებული;
- საგანი - „შედარებითი საკორპორაციო სამართალი“ გადაიხედოს, თემატიკა ჩამოყალიბდეს რელევანტურად და სამაგისტრო პროგრამის შესაბამისად;
- საგნებში „შედარებითი საკორპორაციო სამართალი“ და „კორპორაციული მართვა“ აღმოიფხვრას დუბლირებები და საკითხების გადაფარვა;
- საგანი - „სამართლებრივი არგუმენტაცია და დასაბუთება“ გადაიხედოს და გათვალისწინებულ იქნას ის მასალა და საკითხები რაც ქართულ რეალობაზეც იქნება ორიენტირებული;
- საგნის - „სამართლებრივი წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდების“ სახელწოდება და შინაარსი ერთმანეთთან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი და განახლდეს თანამედროვე ლიტერატურით.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატაროს კვლევა, სტატისტიკურად უარყოფითი ტენდენციის გამომწვევი მიზეზის გამოსარკვევად და აღმოსაფხვრელად;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა უფრო მკაფიოდ გაიწეროს;
- პროგრამის შინაარსი და მისი მაფორმირებელი სავალდებულო სასწავლო კურსები პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას ამცირებს. მიზანშეწონილია, გადაიხედოს პროგრამის შინაარსის მაფორმირებელი სასწავლო კურსები და მათი მიმართება პროგრამის სწავლის შედეგებთან.

მონიტორინგის პროცესის შედეგად, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები ფაქტობრივად შესრულებულია, თუმცა, კვლავ გამოიკვეთა გარკვეული რეკომენდაციების გაცემის აუცილებლობა. კერძოდ:

**2.3. სტანდარტთან მიმართებაში**

- „აკადემიური წერისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები“ სილაბუსი დაიხვეწოს, რათა შენარჩუნებული იყოს სასწავლო კურსის შინაარსის ლოგიკური ჯაჭვი.
- „სამართლებრივი არგუმენტაცია და დასაბუთება“ სილაბუსი კვლავ გადამუშავდეს რათა მეტად ორინტირებული იყოს ქართულ რეალობაზე. ასევე მიეთითოს უცხოური სასამართლოს გადაწყვეტილებების რეკვიზიტები, გასწორდეს ტექნიკური შეცდომები სასამართლოს დასახელებებთან დაკავშირებით. სასამართლო გადაწყვეტილებები

შეირჩეს კომერციული სამართლისათვის პირდაპირ დაკავშირებული თუ არა, შედარებით რელევანტური სასამართლო პრაქტიკით.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამას აქვს გაწერილი მიზნები, რომელიც ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული.

პროგრამის მიზნებია:

- იცნობს, ეროვნული მოწესრიგების ჩარჩოს მიღმა, გლობალურ საერთაშორისო, განვითარებული ქვეყნების ეროვნული მოწესრიგების,1 ევროპულ რეგიონულ დონეზე კომერციული ურთიერთობების რეგულირების თეორიულ-დოგმატურ მიღწევებსა და აკუმულირებულ გამოცდილებას;
- ფლობს შედარებითსამართლებრივ და ემპირიულ მეთოდებზე დაყრდნობით, ინტერ-დისციპლინური და სამართლის სხვადასხვა მომიჯნავე ქვედარგებში მოქმედი მექანიზმებისა და მოწესრიგების სტანდარტების ანალიზისა და სინთეზის გზით კომერციული სამართლის განმავითარებელი კვლევის განხორციელებისა და შედეგების დანერგვის უნარს, ადეკვატური, სხვა მექანიზმთა შორის, კანონშემოქმედებითი საქმიანობის გზით;
- აქვს პროფესიული ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავების შესაძლებლობა, თვითორგანიზებული და მიზანმიმართული სამუშაოს ჩატარების გზით;
- შეძლებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სავაჭრო და, ზოგადად, ბიზნეს სფეროში კერძო და მომიჯნავე საჯარო ურთიერთობათა დონეზე წარმოშობილი პრაქტიკული პრობლემების და კონფლიქტების ეტიმოლოგიის იდენტიფიცირებას და რაციონალურ მოწესრიგებას საერთაშორისოდ აღიარებული ღირებულებებისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების საფუძველზე.

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და ასახავს თუ რა წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში. პროგრამის გარკვეული ასპექტები საჯარო და ხელმისაწვდომია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პროგრამის მიზნები;

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ვებ-გვერდი: [https://ibsu.edu.ge/ge/law-page/second-master-s/]

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
| --- |
| პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნასა, უნარებსა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას, რასაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, არის გაზომვადი და რეალისტური. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.<br><br>პროგარამაზე განხორციელებული აკრედიტაციის ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვასთან დაკავშირებით, რაც განპირობებული იყო პროგრამის სწავლის შედეგების მაფორმირებელი სასწავლო კურსების მოდიფიცირების საჭიროებიდან გამომდინარე. პროგრამის შემადგენელი სავალდებულო სასწავლო კურსების გადახედვის აუცილებლობა, როგორც წესი, ხდება პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვის წინაპირობა. მოცემულ შემთხვევაში, შედარებითი კომერციული სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები გადახედილ იქნა და განახლდა მათი მიმართება პროგრამის სწავლის შედეგებთან. კერძოდ, სავალდებულო სასწავლო კურსებს დამატებული აქვს სასწავლო კურსი „შედარებითი სანივთო სამართალი“ და „შედარებითი საკორპორაციო სამართალი“. პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებდა მათ შორის იმ შედეგებს რაც ამ ორი სასწავლო კურსით, წინა აკრედიტაციის პროცესში, არჩევითი სასწავლო კურსების ფორმატით იყო წარმოდგენილი.<br><br>წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია პროგრამის სწავლის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა და პროგრამის სასწავლო სავალდებულო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების ურთიერთმიმართება, რომელიც შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მონაცემებს.<br><br>პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაში მონაწილეობას ღებულობს სავალდებულო სასწავლო კურსები და სამაგიტრო პროგრამის შემთხვევაში - სამაგისტრო ნაშრომი. წარმოდგენილი ცვლილებებისა და პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებას სწორად აქვს განსაზღვრული ეს ორი კომპონენტი. შესაბამისად, სწავლის შედეგებთან დაკავშირებული რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.<br><br>პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და გეგმა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #20;<br>• პროგრამის სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა;<br>• სასერტიფიკატო გამოცდის შედეგები;<br>• სამაგისტრო პროგრამის ანგარიში 2021. |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ |

| |
|---|
| პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამას განსაზღვრული აქვს დაშვების წინაპირობა, რომელიც გამჭვირვალე, სამართლიანი და ხელმისაწვდომია. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

- სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი
- საერთო სამაგისტრო გამოცდა
- საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (B2) (ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად ან აქვთ ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL IBT, TOLES Advanced. IELTS და FCE) კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, საჯარო და ხელმისაწვდომია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათელბლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. |

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები ურთიერთკავშირშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ერთგვარი ინსტრუმენტი სწორედ საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სავალდებულო სასწავლო კურსების ერთობლიობაა. შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია უკავშირდებოდა, მათ შორის, სასწავლო კურსების ბადის განახლებას იმგვარად, რომ პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლა უზრუნველყოფილი ყოფილიყო. შესაბამისად, სავალდებულო სასწავლო კურსებს დამატებული აქვს სასწავლო კურსი „შედარებითი სანივთო სამართალი" და „შედარებითი საკორპორაციო სამართალი". პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებდა, მათ შორის, იმ შედეგებს, რაც ამ ორი სასწავლო კურსით, წინა აკრედიტაციის პროცესში, არჩევითი სასწავლო კურსების ფორმატით იყო წარმოდგენილი. აღნიშნულ ნაწილში უნივერსიტეტს განხორციელებული აქვს ცვლილებები, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩითვალოს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #20;
- სამაგისტრო პროგრამის ანგარიში 2021.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

| შეფასება |
|---|
| ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები შეეხო რამდენიმე სასწავლო კურსს. სასწავლო კურსი „შედარებითი საკორპორაციო სამართლი“, გარკვეულწილად, განახლებულია - მისი შინაარსის მაფორმირებელი თემატიკა შედარებითსამართლებრივ კონტექსტზეა აქცენტირებული, რაც შესაძლებლობას იძლევა საკორპორაციოსამართლებრივად რელევანტური საკითხები ტრანსნაციონალურ დონეზე აითვისოს სტუდენტმა. წარმოდგენილი სასწავლო კურსის სილაბუსისა და ანგარიშის მიხედვით, ასევე, განახლებულია რიგი ლიტერატურა, რაც სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს აითვისოს სილაბუსით გათვალისწინებული თემატიკა. შესაბამისად, ხსენებული რეკომენდაცია შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.<br><br>„კორპორაციული მართვის“ სასწავლო კურსით გათვალისწინებული საკითხები, თავის მხრივ, არსებით თანხვედრაში არ მოდის „შედარებითი საკორპორაციო სამართლის“ სასწავლო კურსის სილაბუსთან. შესაბამისად, კორპორაციული მართვისა და შედარებითი საკორპორაციო სამართლის სილაბუსებით გათვალისწინებული საკითხების გადაფარვის აღმოფხვრის შესახებ რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით აკრედიტაციის საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია: სასწავლო კურსი „სამართლებრივი არგუმენტაცია და დასაბუთება“, გადაიხედოს და გათვალისწინებულ იქნას ის მასალა და საკითხები, რაც ქართულ რეალობაზეც იქნება |

ორიენტირებული;

უსდ-ს მიერ წაროდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის მიხედვით, უსდ-მ სასწავლო კურსის შინაარსში დაამატა გარკვეული ასპექტები ქართული სამართლიდანაც. სახელდობრ, პარალელურ რეჟიმში ხდება ამერიკული და ქართული ინსტიტუტების მიდგომების განხილვა ადგილობრივი რეალობის გათვალისწინებით. ამასთანავე, სილაბუსში შეტანილ იქნა ქართული სასამართლო (როგორც საერთო სასამართლოებში, ასევე საკონსტიტუციო) პრაქტიკაში განხილული საქმეც. სილაბუსს დაემატა ქართული ლიტერატურაც, რაც უსდ-ს განცხადებით გამოსადეგი იქნება სამომავლოდ საქართველოში მოღვაწე პრაქტიკოსი იურისტებისათვის და შესაბამისობაში მოიყვანს სილაბუსის თემატიკას მის საბოლოო შედეგებთან. ამ მიმართულებით, ექსპერთა ჯგუფი განხორციელებულ ცვლილებებს იზიარებს.

აღნიშნულ საგანთან მიმართებით, კვლავ აქტუალურია, სასამართლო პრაქტიკის შერჩევა. სასურველია პრაქტიკა რელევანტური იყოს სამაგისტრო პროგრამის სპეციალიზაციისთვის. კერძოდ, სასამართლო პრაქტიკა მიზანშეწონილია ამორჩეული იყოს კომერციული სამართლის სფეროდან, რაც ასევე უხვადაა ამერიკულ პრეცედენტულ სამართალში. სილაბუსში ამჟამად მითითებული უცხოენოვანი სასამართლო გადაწყვეტილების მხოლოდ მცირედი ნაწილი შეიძლება განხილული იყო კომერციული სამართლისათვის რელევანტური საკითხების ჭრილში. მიუხედავად იმისა, რომ საგანი არ არის ორიენტირებული კომერციული სამართლზე, სამაგისტირო პროგრამის სპეცილიზაციიდან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული იყოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც პირდაპირ შეიძლება არ გამომდინარეობდეს კომერციული სამართლიდან, თუმცა შეიცავდეს სასამართლოს მსჯელობას სამაგისტროს პროგრამის სპეცილიზაციისთვის შედარებით რელევანტურ საკითხებზე. რაც შეეხება ქართულ სასამართლო პრაქტიკას, წარმოდგენილია მხოლოდ ერთი დავა, რომელსაც არ ახლავს კონკრეტული რეკვიზიტები. სილაბუსში გათვალისწინებულ აშშ-ს სასამართლო პრაქტიკასთან შედარებით, ქართული სამართლიდან მხოლოდ ერთი დავა ძალიან მწირია. სამართლებრივი არგუმენატციის და დასაბუთების სწავლების პროცესში, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები არის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი, თუმცა ეს არ უნდა გამორიცხავდეს პარალელურად ქართული რეალობის/პრაქტიკის ადეკვატური მოცულობით განხილვას.

ასევე, სილაბუსში სასწავლო მასალაში მითითებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად, გადაწყვეტილებებს მიეთითოს რეკვიზიტები, (მაგალითად, სილაბუსში მითითებული „United States Supreme Court Dorest Yacht Co. V. Home Office;" იძებნება დიდი ბრიტანეთის სასამართლო გადაწყვეტილებად და არა აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებად; MacPherson v. Buick Motor Co., იძებნება ნიუ იორკის შტატის სააპელაციო გადაწყვეტილებად და არა აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებად და ა.შ.).

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილებით აკრედიტაციის საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია: სასწავლო

კურსი „სამართლებრივი წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდების“ სახელწოდება და შინაარსი ერთმანეთთან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი და განახლდეს თანამედროვე ლიტერატურით.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშითა და სასწავლო კურსის სილაბუსით დგინდება, რომ უსდ-მ სასწავლო კურსის სილაბუსში განახორციელა შემდეგი ცვლილებები: სასწავლო კურსის სახელწოდება შეიცვალა შემდეგნაირად: „აკადემიური წერისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები.“ ასევე სასწავლო კურსს დაემატა ორი სახელმძღვანელო ( რუსიაშვილი,გ.,შალიკაშვილი,მ.,აკადემიური წერა იურისტებისათვის, თბილისი, 2020; ) დოლიძე, ა, აკადემიური წერა სამართალში, თბილისი, 2017.)

შესაბამისად, ახალი სახელწოდებიდან გამომდინარე სასწავლო კურსი უნდა ეხებოდეს აკადემიურ წერასა და სამეცნიერო კვლევებს. ამავდროულად, სასწავლო კურსის შინაარსი კვლავ შეიცავს თემატიკას, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივი წერის საკითხს და ნაკლებად ჯდება აკადემიური წერისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდების საკითხებში. კერძოდ, მე-4 კვირაში გათვალისწინებულია თემატიკა: სამართალშემოქმედების პროცესი. თუმცა სამართალშემოქმედების პროცესი ცალსახად არ არის აკადემიური წერის ნაწილზე, რაზეც შესაბამისი განმარტება გაკეთდა კიდეც აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამართალშემოქმედების პროცესს, რომელიც მე-4 კვირაში არის შეთავაზებული, წინ უსწრებს სამეცნიერო კვლევის წყაროები და შემდეგ მოსდევს საკითხები: სასამართლო გადაწყვეტილების დამუშავება და გამოყენება, სამაგისტრო ნაშრომისთვის საკვლევი საკითხის შერჩევა და სხვა, რომელიც ნამდვილად შეესაბამება კურსის ამჟამინდელ სახელწოდებას. აღნიშნულის გამო, რჩება შთაბეჭდილება, რომ მე-4 კვირის თემატიკა, საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილია, უადგილოდ წარმოდგენილია აკადემიური წერის ექსკლუზიურ საკითხებს შორის. შესაბამისად, აღნიშნულ სასწავლო კურსში თემატიკა (კერძოდ, სამართალშემოქმედების პროცესი) მცირედით კვლავ საჭიროებს სახელწოდების კონტექსტში შესაბამისობაში მოყვანას. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ ამ სასწავლო კურსში არსებობს სამართალშემოქმედების პროცესის, როგორც სამართლებრივი წერის ერთ-ერთი მთავარი მიმართულების დატოვების აუცილებელობა, მაშინ სასურველია მოხდეს თემატიკის ლოგიკურად გადაჯგუფება.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სასწავლო კურსის სამაგისტრო პროგრამასთან კორელაციაში განხილვის შედეგად, უმჯობესი იქნებოდა, სასწავლო კურსში ცვლილებები იმგვარად განხორციელებულიყო, რომ მთლიანად აკადემიურ წერასა და სამეცნიერო კვლევის მეთოდებზე გადასვლის ნაცვლად, ორინტირებული ყოფილიყო სამართლებრივი წერის იმგვარ სასწავლო კურსზე, რომელიც პრაქტიკულად გამოსადეგი იქნებოდა სტუდენტებისათვის. ამავდროულად, პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლას უფრო მეტად უზრუნველყოფდა, რადგანაც სწავლის შედეგების მიხედვით სტუდენტს უნდა შეეძლოს ადგილობრივი თუ საერთაშორისო ბიზნესპროექტების რეალიზაციაში სამართლებრივი მხარდაჭერის (სამართლებრივ-დოკუმენტალური უზრუნველყოფა ქართულ და ინგლისურ ენებზე) უზრუნველყოფა.

აქედან, გამომდინარე სასურველია 1. სხვადასხვა საგნებში წერტილოვნად შესაბამისი

| |
|---|
| სამართლებრივი დოკუმენტაციის მუშაობის მეთოდიკის შეტანა, რელევანტურ სასწავლო კურსებში (მაგალითისთვის: საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების ანალიზი/შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართალში და ა.შ ) ან 2. სამართლებრივი წერის სასწავლო კურსის იმგვარად ფორმირება, რომ სტუდენტს თავის სპეციალობასთან შესაბამის ძირითად სამართლებრივ დოკუმენტაციაზე მუშაობის/ანალიზის სასწავლო პრაქტიკა გააჩნდეს. აღსანიშნავია, რომ სპეციალიზაციისთვის რელევანტური სამართალბრივი დოკუმენტაციის შედგანზე მუშაობა სავარაუდოდ ხდება იურიდიული კლინიკის ფარგლებში, რადგანაც სწორედ ამ კურსის სწავლის შედეგებშია გაწერილი კომერციულ სფეროში სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტაციის შედგენისა და დაინტერესებული მხარეებისათვის საკუთარი პოზიციების ადეკვატური წარმოჩენის უნარი. კლინიკის სილაბუსიდან გამომდინარე, შეუძლებელია იდენტიფიცირება, რა ტიპის დოკუმენტებზე მუშაობენ მაგისტრანტები, რა მეთოდს ეფუძნება დოკუმენტების შედგენა, ხდება თუ არა აქცენტირება, მაგ. სპეცილიზაციისთვის რელევანტური ხელშეკრულების ანალიზზე, განსაკუთრებით პრაქტიკული მნიშვნელობის სამართლებრივი რისკების იდენტიფიცრების უნარების გამომუშავებაზე და ა.შ.<br><br>გასათვალისწინებელია, რომ კლიენტის სამართლებრივი-დოკუმენტალური უზრუნველყოფა იურიდიული საქმიანობის მთავარი მიმართულებაა. რელევანტურ საგნებში ან ერთ სპეციალიზებულ საგანში (მაგ. სამართლებრივი წერა) სპეცილიზაციისთვის აუცილებელი სამართლებრივი დოკუმენტების შექმნის/ანალიზის კომპონენტის კონცენტარციის გარეშე, მითითებულ შედეგზე გასვლა არარეალისტურია. ასევე, დასახელებული საკითხის განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობისა და თავად სამაგისტრო პროგრამის სპეცილიზაციიდან გამომდინარე ყურადღება უნდა მიექცეს, რომ კომერციული სამართლის ფარგლებში, სამართლებრივი წერის თუ კომერციულ სფეროში სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტაციის შედგენის თაობაზე ადეკვატური ცოდნისა და უნარების გადაცემა სტუდეტებისთვის უზრუნველყოს პერსონალმა, რომელსაც გააჩნია კომერციულ სფეროში პრაქტიკული საქმიანობის შესაბამისი გამოცდილება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• სასწავლო კურსების „შედარებითი საკორპორაციო სამართალი“, „კორპორაციული მართვა“, აკადემიური წერისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები“, „სამართლებრივი არგუმენტაცია და დასაბუთება“ სილაბუსები;<br>• აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #20;<br>• სამაგისტრო პროგრამის ანგარიში 2021. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• „აკადემიური წერისა და სამეცნიერო კვლების მეთოდები“ სილაბუსი დაიხვეწოს, რათა შენარჩუნებული იყოს სასწავლო კურსის შინაარსის ლოგიკური ჯაჭვი.<br>• „სამართლებრივი არგუმენტაცია და დასაბუთება“ სილაბუსი კვლავ გადამუშავდეს |

რათა მეტად ორინტირებული იყოს ქართულ რეალობაზე. ასევე მიეთითოს უცხოოური სასამართლოს გადაწყვეტილებების რეკვიზიტები, გასწორდეს ტექნიკური შეცდომები სასამართლოს დასახელებებთან დაკავშივშირებით. სასამართლო გადაწყვეტილებები შეირჩეს კომერციული სამართლისათვის პირდაპირ დაკავშირებული თუ არა, შედარებით რელევანტური სასამართლო პრაქტიკით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა, სწავლის საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს

| |
|---|
| ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**<br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• სამეცნიერო-კვლევითი მაჩვენებელი. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები |
|---|
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდების შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურსა და კურსის შინაარსს.

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:** სწავლებისა და სწავლის ფორმატი მოიცავს: ლექცია-სემინარებს, ინდივიდუალურ, ჯგუფურ და პრაქტიკულ სამუშაოებს, საშინაო დავალებებს, პრეზენტაციებს, სასწავლო პრაქტიკას (იმიტირებული პროცესები, სამართლებრივი ამოცანები და სხვა), პრაქტიკოს იურისტთა მასტერკლასებს, იურიდიულდა მედიაციის კლინიკებს.

სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:
**როლური თამაში** - სპონტანური, კრეატიული და რეალურთან მიახლოებული სწავლების სტრატეგია, რაც გულისხმობს მონაწილეების მიერ სხვა პირთა როლის მორგებას და გათამაშებას. როლური თამაში არის სწავლის ეფექტური სტრატეგია, რადგან იგი აიძულებს მონაწილეებს, კარგად გაიაზრონ იმ ინდივიდის როლი, რომელსაც ისინი მოცემულ მომენტში განასახიერებენ. ამასთანავე როლური თამაში გულისმობს სტუდენტის უშუალო ჩართულობას და რეალურ სიტუაციასთან მიახლოებას. როლური თამაშები კარგად გამოიყენება იურიდიული განათლების კონტექსტში, სადაც სასამართლოს საქმიანობის წარმოსახვას ითვალისწინებს. სტუდენტებისთვის უჩვეულო როლში ყოფნა მათ აძლევთ საშუალებას სიტუაცია დაინახონ სხვა პერსპექტივიდან. როლური თამაში საინტერესოა კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილების მიღებისა და მტკიცების უნარების განვითარებისათვის.
**საკლასო სიმულციები სამართლის სწავლებისთვის** - მოიცავს შემდეგს: სასამართლო განხილვები, იმიტირებული პრცესები; დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები: მედიაცია, არბიტრაჟი, მოლაპარაკებები. კლიენტის გამოკითხვა და კლიენტის კონსულტირება; კანონის მიღების პროცესი; საპარლამენტო დებატები; საკანონმდებლო საქმიანობა (კანონის მომზადების პროცესი). საკლასო სიმულციის ეტაპები: იმ საგანმანათლებლო მიზნის განსაზღვრა, რომელსაც ემსახურება სიმულცია; შესაბამისი კაზუსის მომზადება, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს სიმულციას; სიმულციის გათამაშება; სიმულციის შეფასება; სიმულციის გადამუშავება.
**საკანონმდებლო სიმულცია** - ამ აქტივობის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ საკითხზე, რომლის საკანონმდებლო მოსმენა შესაძლებელია ქალაქის საბჭოსა თუ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში. მნიშვნელოვანია, სტუდენტების ნაწილი წარმოადგენდეს კანონმდებელს, ხოლო მეორე ნაწილი მოსახლეობას ან დაინტერესებულ ჯგუფს. სტუდენტები გაყოფილნი იქნებიან შემდეგ როლებზე: ა)კანონმდებლები ან კომიტეტის წევრები - საშუალოდ 5-9 კანონმდებელი, მაგრამ ეს რიცხვი შეიძლება შეიცვალოს სტუდნტების რაოდენობის გათვალისწინებით.ერთი კანონმდებელი დაინიშნება კომიტეტის თავმჯდომარედ. ბ) მოწმეები - მოწმეები რაოდენობა და ტიპი დამოკიდებულია კოკრეტულ საქმეზე.მოწმებმა აუცილებლად უნდა წარმოადგინონ განსხვავებული შეხედულებები.
**სასამართლო პრაქტიკის შესწავლა** - სასამართლო პრაქტიკის შესწავლა მოითხოვს სტუდენტებისაგან პრობლემური სიტუაციების გაანალიზებას და დასკვნების გამოტანას შესაბამის

გადაწყვეტილებებში. არსებობს სასამართლო პრაქტიკის შესწავლის სხვადასხვა ფორმა: სასამართლო პრეცედენტებზე დაფუძნებული სამართლებრივი საქმეები; სავარაუდო სიტუაციები, რომლებიც მოიცავს დავების ან რაიმე დილემის გადაწყვეტას; ასევე რეალურ სიტუაციებს ჟურნალ-გაზეთებიდან, წიგნებიდან ან სხვა რესურსებიდან. სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ძირითადად დაფუძნებულია წერილობით ფორმაზე, ასევე შესაძლოა წარმოდგენილი იყოს აუდიოვიზუალური საშუალებებით, როგორიცაა ფილმის ყურება და აუდიოჩანაწერის მოსმენა. პრაქტიკა ძირითადად მოიცავს შემდეგ ელემენტებს: ფაქტების აღწერას; პრობლემების გადაწყვეტას; არგუმენტებზე და განსხვავებულ პრობლემებზე მითითებას; გადაწყვეტილებას ან შედეგს წარმოდგენილ საქმეზე; მიღებული გადაწყვეტილების საფუძველს.

**იმიტირებული სასამართლო პროცესი** - იმიტირებული სასამართლო პროცესი წარმოადგენს როლურ თამაშს, რომელიც გულისხმობს სააპელაციო ან უზენაესი სასამართლოს განხილვებს. სასამართლო ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობით განიხილავს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებას. მოწმეებს არ იძახებენ. ძირითადი ფაქტებიც არ არის სადავო. არგუმენტები მომზადებულია და წარმოდგენილი სასამართლო კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით(მაგ: რომელიმე კანონის კონსტიტუციურობა). მვინაიდან იმიტირებული სასამართლო პროცესები არ არის დამყარებული მხოლოდ მოწმის სანდოობაზე, ისინი წარმოადგენენ ეფექტურ სტრატეგიას სტუდენტების ყურადღების ფოკუსირებისათვის სამართლის ძირითად პრინციპებსა და კონცეფციებზე.

**მაგალითების შესწავლა:** სამართლებრივი საკითხების სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ეფექტური მეთოდი, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას კანონი რეალურ საქმეებსა და სიტუაციებს მიუსადაგონ. მაგალითები წინასწარ უნდა იყოს შედგენილი და სწავლების მიზანს მორგებული. სასურველია, მეთოდი გაერთიანდეს სხვა ისეთ მეთოდებთან, როგორიც არის დისკუსია მცირე ჯგუფებში, როლური თამაშები, აზრთა/იდეების გაცვლა და სხვა.

**კაზუსის მომზადება:** კაზუსი არის ლექტორის მიერ დასმული სამართლებრივი პრობლემა, რომელიც საჭიროებს გადაჭრას. ამ დროს სტუდენტები წარმოიდგენენ, რომ ქმნიან დეტექტიურ ისტორიას. კაზუსის მომზადებას იწყებენ იმ პრობლემათა ჩამონათვალით, რომელთა განხილვაც მათ სურთ კაზუსის მეშვეობით. სასურველია კაზუსი შეიცავდეს: შესავალს; ფაქტების და წინაისტორიის აღწერას; გამოსაყენებელ სამართლის ნორმებს; სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაჭრაც უნდა მოხდეს.

**შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ რეალურ ან ჰიპოთეტურ შემთხვევებს, მათი ყოველმხრივი და საფუძვლიანად შეისწავლის მიზნით. მეთოდი მიზნად ისახავს როგორც კონკრეტული საკითხის არსებული გადაწყვეტის ანალიზს, ისე კონკრეტიკის განზოგადების შესაძლებლობის შეფასებას.

**დიალოგი სოკრატეს მეთოდით** - სოკრატეს მეთოდი წინასწარ შექმნილი ან არასწორად გაგებული სასამართლო გადაწყვეტილებების გამოკვლევის მიზნით ეხმარება სტუდენტებს, ჩამოუყალიბდეთ კვლევისა და კრიტიკული აზროვნების უნარი. სამართლის სტუდენტებთან პროდუქტიულია სოკრატეს დიალოგის შემდეგი ტიპების გამოყენება: ცოდნა, ანალოგია-შედარება და კრიტიკული აზროვნება. ა) ცოდნა - აღნიშული ტიპის დიალოგის ჩატარების წესი მოიცავს ცოდნის კონცეფციის იდენტიფიცირებას, რომელიც ლექტორს სურს, რომ სტუდენტმა გაიგოს იმ კითხვების მეშვეობით, რომელიც

